საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელ დირექტორს,

ქალბატონ ნატა ძველიშვილს

რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის

მამია ფხაკაძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

განცხადება შეეხება 2019 წლის 16 თებერვალს ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში, შაბათის კურიერში გასულ რეპორტაჟს მოსამართლეთა ფეშენებელური სახლების შესახებ (21:00-21:16). (წამყვანი/ავტორი-ნოდარ მელაძე, რეპორტაჟი მომზადებულია ჟურნალისტ ქეთი ნადიბაიძის მიერ).

დავის საგანს წარმოადგენს ,,გავლენიანი მოსამართლის" (როგორც ნოდარ მელაძე უწოდებს რეპორტაჟის გმირებს) **რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მამია ფხაკაძის ოჯახის ქონების გაშუქებისას ჟურნალისტების: ნოდარ მელაძის და ქეთი ნადიბაიძის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევა**.

რეპორტაჟის დასაწყისში **ნოდარ მელაძე** უკვე ქმნის საზოგადოების განწყობას შემდეგი ფრაზებით: ,,მოსამართლეები, რომლებიც ათასობით ადამიანის ბედს წყვეტენ, კონკურსი აქვთ გამოცხადებული, ვის უფრო მაგარი სახლი ექნება". შემდეგ კი აგრძელებს, ვის როგორი სახლი მოსწონს და ამბობს ფრაზას, რომელიც, როგორც შემდეგ რეპორტაჟიდან ირკვევა, მამია ფხაკაძის ანუ ჩემს სახლს ეხება: ,,ზოგს უნდა რომ მთა ჰქონდეს ბარში და სახლებს ხის ფასადს უკეთებს". ამასთან, ამბობს: ,,... ჩვენ ვიპოვეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია" და შემდეგ **ქეთი ნადიბაიძე** აგრძელებს თხრობას და მაყურებელს უთითებს მოსამართლეების საშუალო ხელფასს, რათა მათ დასკვნები თავად გამოიტანონ. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ რეპორტაჟის გასვლის წინ დასახელებულ იქნა ერთ-ერთი მოსამართლის ოჯახის წევრის წლიური შემოსავალი (ანუ სადაც აწყობდათ, ამის თქმა შესაძლებელი იყო), არაფერი თქმულა არც წინასიტყვაობისას და არც შემდგომ, სიუჟეტში ჩემი და ჩემი მეუღლის არც წლიურ შემოსავალზე და არც იმ ვალდებულებებზე, რაც ჩვენს პირობებში უძრავი ქონების შეძენასთან (ნაკვეთი, ბინა ბაკურიანში), თუ სახლის აშენებასთან იყო დაკავშირებული .

ამით ჟურნალისტები უკვე ქმნიან განწყობას, რომ საქმე გვაქვს უკანონო შემოსავლით, კორუფციული გარიგებებით მიღებულ ქონებასთან. რამაც შესაბამისი ასახვა რეალურად მეორე დღესვე ჰპოვა პოლიტიკოსების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების და/ან თანამდებობის პირების გამონათქვამებში და გამოყენებული იქნა სიუჟეტში მოყვანილი მოსამართლეების და მთლიანად სასამართლო სისტემის დისკრედიტირებისთვის (იხ. დანართი-14 rustavi2 კურიერი-17-02 18სთ, ასევე, დანართი: 15-ანა დოლოძის კომენტარი ipn-ზე).

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ **ნოდარ მელაძის მიერ** ისე, რომ არ გაურკვევია თუ რით იყო გამოწვეული ჩემი ოჯახის საცხოვრებელი სახლის ხის ფასადით მოპირკეთება, გაცხადებული იქნა აღნიშნული ჩემს ახირებად (ხუმტურად)-მთა ჩამომეტანა ბარში და თითქოსდა ამ მიზნით მოვაპირკეთე სახლი ხის ფასადით. მაშინ, როდესაც ჩემი სახლის პროექტი წარმოადგენს თბილისის მერიის საჩუქარ პროექტს (იხ. დანართი: 1, არქიტექტორის განმარტება საკითხზე), რომლის ფასადშიც თავიდანვე გათვალისწინებული იყო ფასადის ხით მოპირკეთება. ამასთან, **მელაძე ცრუობს,** როდესაც ამბობს, რომ მას რეპორტაჟი არ უნახავს, ვინაიდან ხის ფასადით მოპირკეთებული სახლი, როგორც მოგვიანებით უკვე რეპორტაჟის გაშვებისას აღმოჩნდა, მხოლოდ ჩემი სახლი იყო, რომელიც არ ფიქსირდებოდა გადაცემის ანონსისას და

თუ მის სიტყვებს დავუჯერებთ და მას მართლაც არ ჰქონდა ნანახი რეპორტაჟი, მაშინ მას არ უნდა სცოდნოდა ჩემი სახლის ფასადი თუ რით იყო მოპირკეთებული და შესაბამისად, ფრაზა-,,...ზოგს უნდა რომ მთა ჰქონდეს ბარში და სახლებს ხის ფასადს უკეთებს", მისი მხრიდან აზრს მოკლებული იქნებოდა.

შესამაბისად, **ჟურნალისტების: ნოდარ მელაძის და ქეთი ნადიბაიძის** მიერ გადაცემის დასაწყისში წარმოთქმული წინასიტყვაობის შეფასებისას ნათელია, რომ მათ საზოგადოებას არ მიეწოდეს სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია. ნოდარ მელაძემ, ისე, რომ ,,არ უნახავს" რეპორტაჟი, მთის ბარში ჩამოტანა დამაბრალა და ამავდროულად, ორივე ჟურნალისტის მთელი წინასიტყვაობის პათოსს, რომელიც ნაწილობრივ მოყვანილია განცხადების ზედა ნაწილში (მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 13 Rustavi2-შაბათის კურიერი-16.02), წარმოადგენდა საზოგადოების განცდის შექმნა, რომ მათ ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტი და კადრი იპოვეს რეპორტაჟის გმირებზე (თითქოს დამალული იყო რაიმე ჩემს შემთხვევაში) და რომ მაყურებელს ელოდა რეპორტაჟი კორუმპირებულ მოსამართლეებზე.

აღნიშნული წინასიტყვაობის შემდეგ მოდის უკვე უშუალოდ ჟურნალისტ **ქეთი ნადიბაიძის** მიერ მომზადებული რეპორტაჟი, რომელშიც აშკარად იკვეთება ქარტიის პრინციპების უგულებელყოფა.

<u>გარემოება 1</u>

ჟურნალისტი ქეთი ნადიბაიძე ჩემს ქონებაზე საუბარს იწყებს ფრაზით: ,,დიღომში, ქართველი მილიონერების უბანში ცხოვრობს რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე".

რეპორტაჟის დასაწყისშივე ჟურნალისტის მიერ ზემოხსენებული ფრაზა მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას ქონების ადგილმდებარეობის თაობაზე და ჩემი ოჯახის დისკრედიტაციას. ვინაიდან 2012 წელს და ყოველ შემდგომ წელს შევსებულ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებში (ანუ მას შემდეგ, რაც 2011 წლის 19 დეკემბერს განხორციელდა 400 კვ.მ ნაკვეთის ყიდვა - იხ. დეკლარაციები-დანართები: 5,6,7), ყველგან ფიქსირდება ნაკვეთის და შემდგომ უკვე მასზედ დამაგრებული შენობა-ნაგებობის მისამართი: **თბილისი, სოფელი დიღომი, ზურგოვანი და არა დიღომი.** ამ დასახლებას არაფერი აქვს საერთო დიღომი 7 და დიღომი 8-ად წოდებულ დასახლებასთან, რომლებიც მოსახლეობაში ცნობილია, როგორც ქართველ მილიონერთა უბანი. **სინამდვილეში სახლი მდებარეობს სოფელი დიღმის ტერიტორიაზე, დიდ დიღმის მხარეს, მუხათგვერდის სასაფლაოს გზიდან დაახლოებით 200 მეტრის სიღრმეში.** აღნიშნული არასდროს მოიხსენიებოდა ქართველ მილიონერთა უბნად და არც ამგვარი სტატუსის ადამიანები იძებნებიან მიმდებარედ. აქ მილიონერებს ვერა, მაგრამ სახნავ-სათეს მიწებს კი უხვად ნახვათ, არც დიდი განაშენიანებით გამოირჩევა უბანი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ტერიტორიაზე ,,ასფალტის" საფარი და გარე ცენტრალური საკანალიზაციო ქსელი მხოლოდ 2017-2018 წლებში მოეწყო, ხოლო ინდივიდუალური ელექტროფიკაცია მოეწყო 2012 წელს ჩემს მიერ, სახლის მშენებლობის მიმდინარეობისას. დამეთანხმებით, 1 კვ.მ-ის 30 დოლარის ღირებულების პირობებში და ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ცოტა რთული იქნებოდა ამ უბნისთვის ,,ქართველი მილიონერების უბნის" სახელის მინიჭება. მითუმეტეს, რომ ობიექტური შემფასებლისთვის ძნელი იქნებოდა მამია ფხაკაძის სახლის ფეშენებელურ სახლად აღქმა. თუმცა, უხერხულობა ამ ფაქტორების გამო არ უგრძვნია რეპორტაჟის ავტორს და **მეტი სიმძაფრისთვის, რათა თავიდანვე შეცდომაში შეეყვანა საზოგადოება და შეექმნა უარყოფითი განწყობა, არ დაასახელა სახლის არც ოფიციალური მისამართი და არც ფაქტობრივი მდებარეობა,** არც ჩემი სახლის მიმდებარე და მომიჯნავე სახნავ-სათესი ტერიტორიები და მშენებარე სახლები აჩვენა, რაც თვითონ გასცემდა პასუხს რა „მილიონერების" უბანშიც ვცხოვრობ და რა ფეშენებელური სახლიც მაქვს. შესაბამისად, პრაქტიკულად გაყალბებული ინფორმაციით დაიწო ჩემი ოჯახის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე რეპორტაჟი (იხ. ფოტოები, ასევე, დანართი 4-ნაკვეთის მდებარეობა, დანართები: 2,3)

ამ შემთხვევაში ჟურნალისტმა საზოგადოების მიმართ არ გამოიჩინა პატივისცემა და არ გადაამოწმა ფაქტები, რათა გამოექვეყნებინა სიმართლე და ზუსტი ინფორმაცია და საზოგადოებას ამცნო გაყალბებული ინფორმაცია.

<u>გარემოება 2</u>

ჟურნალისტის მხრიდან გაჟღერდა შემდეგი ინფორმაცია: ,,... მათ 400 კვადრატული12000 დოლარად 2011 წელს იყიდეს, სახლი კი ერთი წლის შემდეგ ააშენეს, რომელიც 87000 ლარი დაუჯდათ".

ამ შემთხვევაში **ჟურნალისტმა ქეთი ნადიბაიძემ არ დაასახელა დეკლარაციაში მითითებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ სახლი აშენდა და დასრულდა 2012 წელს** (ანუ მომდევნო წელს), იმ პერიოდში, რომლის დროსაც სახელმწიფოს მიღწევად მიიჩნეოდა კორუფციისგან თავისუფალი სასამართლოს არსებობა და არა 2013 წელს, როგორც ეს შეიძლება განიმარტოს ჟურნალისტის განცხადებიდან გამომდინარე.

წარმოგიდგენთ დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებით, დაკმაყოფილდა 2012 წლის 10 სექტემბრის განცხადება და საცხოვრებელი სახლი, რომლის **საერთო ფართობი 131.4 კვ.მ, მათ შორის საცხოვრებელი ფართობი - 110.29 კვ.მ, ხოლო საზაფხულო ფართობი - 21.11 კვ.მ,** მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში (იხ. დანართი 8-მერიის ბრძანება). **შესაბამისად, ჟურნალისტის მიერ სახლის აშენების წელის იგნორირება ემსახურება საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, რათა ეს ფაქტი წარმოჩენილიყო, როგორც კორუფციის შესაძლო შემთხვევა,** რაც საზოგადოების მხრიდან გამოიწვევდა აგრესიას, მითუმეტეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მე ყოველდღიურ რეჟიმში მიხდება მრავალი სასამართლო პროცესის ჩატარება და აღნიშნული კიდევ ერთხელ მოემსახურებოდა ჩემი, როგორც მოსამართლის დისკრედიტაციას.

ასევე, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ჟურნალისტმა არც ამ შემთხვევაში მომცა შესაძლებლობა არგუმენტირებულად და დოკუმენტურად დამესაბუთებინა ქონების ღირებულების სისწორე და თანხის წარმოშობის კანონიერება. **საზოგადოებისთვის ზუსტი ინფორმაციის მიწოდებით კი თავიდან იქნებოდა არიდებული ჩემი პიროვნული დისკრეტიდაციის მიზნით ფაქტების არაერთგვაროვანი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა და არ ექნებოდა ადგილი ჟურნალისტის მიერ მნიშვნელოვანი ფაქტების მიჩქმალვით თვითნებურ ინტერპრეტაციას.** ამ შემთხვევაში **ჟურნალისტმა ქეთი ნადიბაიძემ გააშუქა მოვლენა, მაგრამ დამალა ფაქტი, რომელიც ამ მოვლენის მნიშვნელოვანი ნაწილია.**

დოკუმეტურად წარმოგიდგენთ ინფორმაციას, რომელიც ნათელს ჰფენს სახლის მშენებლობისთვის გაწეული ხარჯების კანონიერ წარმომავლობას, საჯარო დეკლარირებას და ამასთან, თვითონ მერიის მიერ ოფიციალურად ამ ტიპის სახლის ასაშენებელ სავარაუდო ღირებულების განმსაზღვრელ დოკუმენტს, რომელიც ხსენებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ვრცელდებოდა ოფიციალურ ვებ გვერდზე და მიიჩნეოდა თბილისის მერიის ინოვაციურ და წარმატებულ პროექტად 2010-2012 წლებში (ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტები საჩუქრად თბილისელებს) და ასევე, არქიტექტორის განმარტებას (იხ. დანართები: 1, 5,7). აღნიშნული დოკუმენტებიდან ცხადად ჩანს, რომ 2012 წელს ჩემი ოჯახის წლიური შემოსავალი შეადგენდა 95 783.70 ლარს, ამასთან, ჩემს მიერ აღებულ იქნა სესხი: 10600 აშშ დოლარის, 2800 ევროს და 6700 ლარის ოდენობით, ასევე, 27.03.2012 წელს გაყიდულ იქნა ბინა, რომელშიც დავიბადე და გავიზარდე -34 500 აშშ დოლარად. **შესაბამისად, რთული მისახვედრი არ არის, რატომ არ იქნა გაცხადებული ეს ინფორმაცია არც ერთი**

ჟურნალისტის მიერ. მათთვის მომგებიანი ამ ინფორმაციების მიჩქმალვა/დამალვა იყო, სხვა შემთხვევაში ჩემი ოჯახის ქონების ჩვენება ამ რეპორტაჟში აზრს მოკლებული ხდებოდა.

იმის გათვალისწინებით, რომ **სახლის ღირებულება არსებითად დაკავშირებულია სახლის ფართზე, ჟურნალისტის მიერ არ დაკონკრეტებულა რეპორტაჟში ნაჩვენები საცხოვრებელი სახლის საერთო ფართი: 131.4 კვ.მ.** თუმცა, ეს ინფორმაცია ასახული იყო ჩემი ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციებში. **ამ გარემოების მიჩქმალვით** მაყურებელს მოესპო შესაძლებლობა, განესაზღვრა გაცხადებული ღირებულება იყო თუა არა რეალური და იმ პირობებში, როდესაც რეპორტაჟში ძირითადად ყურადღება იყო გამახვილებული სხვა მოსამართლეთა ასობით კვადრატული მეტრის შემცველ საცხოვრებლ სახლებზე, დარჩა განცდა, რომ მამია ფხაკაძეს 400 კვ.მ მიწის ნაკვეთზე გაშენებულია რამდენიმე ასეული კვადრატული მეტრი საცხოვრებელი სახლი, რის მისანიშნებლადაც ყურადღება გამახვილდა „პატარა გამწვანებაზე" და ღია ავტოსადგომზე, ამასთან ფართო კადრით გაშუქდა ჩემი საცხოვრებელი სახლი და ეზო, რითაც მაყურებელს მოესპო შესაძლებლობა სხვა უძრავ ქონებებთან მიმართებაში მაინც განესაზღვრა სახლის რეალური მასშტაბები. მაშინ, როდესაც ჟურნალისტს მეტი სიმძაფრის შეტანისთვის არ დავიწყებია გაეხმოვანებინა საზაფხულო ფართში ბარის არსებობა. ამ შემთხვევაშიც **ჟურნალისტმა ქეთი ნადიბაიძემ გააშუქა მოვლენა, მაგრამ დამალა ფაქტი, რომელიც ამ მოვლენის მნიშვნელოვანი ნაწილი გახლდათ. ასევე, ჟურნალისტმა პატივი არ სცა სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია.**

<u>გარემოება 3</u>

ჟურნალისტის მიერ გაჟღერდა შემდეგი ინფორმაცია: „გისოსები მოსამართლემ მშენებლობის დასრულების შემდეგ, სავარაუდოდ მეტი უსაფრთხოებისთვის დაამონტაჟა და ამისთვის მერიიდან სპეც. ნებართვა აიღო".

ფაქტი იმის შესახებ, რომ გისოსები დამონტაჟდა მშენებლობის დასრულების შემდეგ, უფრო მეტიც, 2012 წლის 28 დეკემბრის ფართომასშტაბიანი ამნისტიის გამოცხადების შემდეგ, შეეფერება სრულ სინამდვილეს. თუმცა, ჟურნალისტის მიერ იგნორირებული იქნა სახლის ადგილმდებარეობა, ის, რომ სახლი მდებარეობდა იმ ეტაპისთვის პრაქტიკულად დაუსახლებელ ტერიტორიაზე, და **გისოსების დამონტაჟება უსაფრთხოებასთან ერთად მიჩნეულ იქნა პრივილეგიად,** რისთვისაც თურმე მერიის მიერ გაიცა „სპეც. ნებართვა". **აღნიშნული ინფორმაციით დამახინჯდა რეალური ფაქტი.** კერძოდ, ნაცვლად იმისა, რომ აღნიშნულიყო მოსამართლის კანონშესაბამისი ქმედება და ის, რომ **კერძო საცხოვრებელ სახლის ფასადზე გისოსების დამონტაჟება განხორციელდა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით და რაიმე პრივილეგიის გარეშე, ეს გარემოებაც კი გამოყენებულ იქნა მამია ფხაკაძის საწინააღმდეგოდ და გააჩინა განცდა, თითქოს მან მოიპოვა ე.წ .„სპეც ნებართვა",** რომელიც რომ არა თანამდებობრივი სტატუსი ან ძლერი ფინანსური შესაძლებლობა, სხვაზე არ გაიცემოდა.

რაც შეეხება გისოსების ე.წ. „სპეც. ნებართვის" სამართლებრივ ასპექტებს, აღნიშნულს არეგულირებს საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტი №57 დადგენილება, რომლის შესაბამისად, შენობა–ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა საჭიროებს წერილობით გადაწყვეტილებას. ამ სამართლებრივი რეგულაციების პირობებში იქნა მოთხოვნილი ნებართვა სსიპ–თბილისის არქიტექტურის სამსახურისგან გისოსების მონტაჟზე, რაც დაკმაყოფილდა და ამავე სამსახურის №531101 გადაწყვეტილებით იქნა ნებადართული (იხ. დანართი 9 –მერიის გადაწყვეტილება).

ამავე წარმატებით, ჩემს ოჯახს აღნიშნულ საცხოვრებელ სახლზე აქვს ასეთივე, ჟურნალისტის შეფასებით „სპეც. ნებართვები“ სველი წერტილის სავენტილაციო ხაზზე, სატელევიზიო ანტენებზე, გამათბობელი ქვაბის მილზე, გამწოვის მილზე, ე.წ. გამაგრილებელ მოწყობილობაზე და ა.შ. რაც ჩემი მოსაზრებით, მიუთითებს თანამდებობის პირის კანონმორჩილებაზე მიუხედავად სტატუსისა და იმის საფრთხისა, შეიძლება თუ არა ვინმემ კერძო სახლში შეგიმოწმოს ამ სახის ნებართვები. თუმცა, **აღნიშნული გამოყენებულ იქნა ჟურნალისტის მიერ ჩემი დისკრედიტირების მიზნით, თითქოს რაიმე პრივილეგირებად „სპეც. ნებართვებს“ ვიღებდი**. მაშინ, როდესაც **არცერთ მითითებულ ნებართვას არ გააჩნია სახელწოდებაში დათქმა: „სპეც“, რაც თავისი არსით წარმოადგენს განსაკუთრებულ და/ან სპეციალიზირებული უფლების მიმნიჭებელ ნებართვას.**

გარემოება 3-ის შემთხვევაში ჟურნალისტმა **ქეთი ნადიბაიძემ პატივი არ სცა სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია. ამასთან, მან გააყალბა და საზოგადოებას ისე მიაწოდა აღნიშნული ინფორმაცია.** ვინაიდან რეპორტაჟში ასახული იყო ის ფოტო-მასალა, რომელიც ნებართვისთვის იყო წარდგენილი მერიის შესაბამის სამსახურში, საიდანაც იყო მოპოვებული კიდეც ეს მასალაც. შესაბამისად, მისთვის კარგად იყო ცნობილი მოთხოვნის არსიც და მერიისგან მიღებული დადებითი გადაწყვეტილებაც, რაც ტიპიურ ნებართვას წარმოადგენდა მხოლოდ და არამც და არამც „სპეც. ნებართვას“. აღნიშნულის გათვალისწინებით და ჟურნალისტ ქეთი ნადიბაიძის ნების შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელი იყო საზოგადოებისთვის სიმართლის და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება, თუმცა, მან გააყალბა მისთვის კარგად ცნობილი ინფორმაცია და ისე მიაწოდა იგი საზოგადოებას.

<u>გარემოება 4</u>

რეპორტაჟში, დეკლარაციის გაყვითლებული ნაწილების ჩვენებისას, საიდანაც პრაქტიკულად არაფერი იკითხებოდა დროის სიმცირის გამო, ჟურნალისტ ქეთი ნადიბაიძის მიერ გაჟღერდა შემდეგი ინფორმაცია: **„მოსამართლე მამია ფხაკაძის ოჯახის საკუთრებაა თბილისში, საბურთალოზე მდებარე ორი საცხოვრებელი ბინა - 116 და 58 კვადრატული მეტრის და 3 წლის წინ ბაკურიანში 30 000 დოლარად ნაყიდი საცხოვრებელი“.**

იმ პირობებში, როდესაც რეპორტაჟის ძირითად პათოსს წარმოადგენდა მოსამართლეთა ქონების შეუსაბამობა მათ შემოსავალთან (რაც ასევე კარგად გამოჩნდა 2019 წლის 17 თებერვლის საღამოს 6 საათიანი კურიერის მსვლელობისას -იხ. დანართი-14 rustavi2 კურიერი-17.02 18სთ), **ამ შემთხვევაშიც რეალური ინფორმაციის მიჩქმალვის და საზოგადოებისთვის არასრულყოფილი და არაზუსტი ინფორმაციის მიწოდების მიზნით გაცხადდა მხოლოდ თბილისში საბურთალოზე მდებარე ბინების ფართობები განსხვავებით საცხოვრებელი სახლის შემთხვევისგან.** ჟურნალისტის მიერ საზოგადოების შეცდომაში შეყვანის და ჩემს კეთილსინდისიერებაში ეჭვის შეტანის მიზნით გაჟღერდა, რომ მამია ფხაკაძის ოჯახს ორი ბინა აქვს ქ. თბილისში, საბურთალოზე, თუმცა, **მიიჩქმალა ის გარემოება, რომ ორივე ბინა შეძენილია 2000-იანი წლების დასაწყისში** ჩემი და ჩემი მეუღლის ოჯახების მიერ მაშინ, როდესაც ჩვენ ჯერ კიდევ სტუდენტები ვიყავით (იხ. დანართები: 6,11).

რაც შეეხება დაბა ბაკურიანში 2016 წელს **29260 აშშ დოლარად** შეძენილ 41.8 კვ.მ -ის ფართობის უძრავ ქონებას, აღნიშნული შეძენილია განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მის შესაძენად ჩემს მიერ აღებული იქნა 12 000 აშშ დოლარის სესხი (აქვე აღსანიშნავია, რომ 2016 წელს ჩემი ოჯახის შემოსავალმა შეადგინა 112 681.82 ლარს -იხ. დანართი 6) და აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები ასახული იქნა ჩემს 2017-2018 წლების დეკლარაციებში. **თუმცა, ამ შემთხვევაშიც არ იქნა რა გათვალისწინებული არც ჩემი და ჩემი მეუღლის წლიური შემოსავალი, არც აღებულ სესხზე გაჟღერდა ინფორმაცია და ჟურნალისტის მიერ** მხოლოდ **აქცენტი გაკეთდა ბინის ღირებულბაზე და ისიც არაზუსტად** (30 000 დოლარი). მაშინ, როდესაც თუ მაინცდამაინც უნდა დაემრგვალებინა თანხა, დამრგვალების მიზნით სწორი იქნებოდა მიეთითებინა 29 000 ან 29 500 აშშ

დოლარი, მან მეტი სიმძაფრისთვის 29260 დოლარს დაუმატა 740 დოლარი (რაც შესაძლოა ვინმესთვის უმნიშვნელო თანხაა, თუმცა არა ჩემთვის და საზოგადოების დიდი ნაწილისთვის) და მაყურებელს მიაწოდა არაზუსტი ინფორმაცია, თითქოს ბინაში გადახდილია 30 000 აშშ დოლარი. მითითებულ ქონებაზე არ მომხდარა არათუ ჩემგან ინფორმაციის მიღება, არამედ არ მომხდარა ზოგადად საჯაროდ ხელმისაწვდომი ქონებრივი დეკლარაციებში ასახული ინფორმაციის გაჟღერება, **რაც შესაძლებელს გახდიდა ფაქტების მიჩქმალვის გარეშე ჟურნალისტის მიერ საზოგადოებისთვის ზუსტი ინფორმაცის მიწოდებას** (იხ. დანართები: 6,12). მითუმეტეს, რომ შაბათის კურიერის ჟურნალისტებისთვის ძნელი არ უნდა ყოფილიყო სურვილის შემთხვევაში მამია ფხაკაძის მობილური ტელეფონის მოძიება იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მე 2012 წლის შემდეგ არ შემიცვლია მობილური ტელეფონის ნომერი და მათ კომპანიაშიც არსებობენ ადამიანები, რომლებისთვისაც კარგად იყო ცნობილი ჩემი მობილური ტელეფონის ნომერი.

ამგვარად, ჟურნალისტურ მასალაში გამოკვეთილია ჟურნალისტების მხრიდან ეთიკური პრინციპების დარღვევები, რითაც შეილახა ჩემი და ჩემი ოჯახის რეპუტაცია და ღირსება.

წარდგენილი მასალების შესაბამისად,

➢ **ჟურნალისტ ნოდარ მელაძის მხრიდან ადგილი აქვს ქარტიის <u>პრინციპი 1</u>** (ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია) **დარღვევას;**

➢ **ჟურნალისტ ქეთი ნადიბაიძის მხრიდან ფიქსირდება ქარტიის ორი პინციპის დარღვევა. კერძოდ, დარღვეულია <u>პრინციპი 1</u>** (ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს სიმართლეს და საზოგადოების უფლებას – მიიღოს ზუსტი ინფორმაცია) **და <u>პრინციპი 3</u>** (ჟურნალისტმა უნდა გადასცეს ინფორმაცია მხოლოდ იმ ფაქტებზე დაყრდნობით, რომელთა წყარო დადასტურებულია. ჟურნალისტმა არ უნდა მიჩქმალოს მნიშვნელოვანი ფაქტები, არ უნდა გააყალბოს დოკუმენტები და ინფორმაცია).

აქვე აღვნიშნავ, რომ ეს არ არის ჩემს შესახებ მომზადებული პირველი რეპორტაჟი. სხვა შემთხვევებშიც მქონდა გარკვეული პრეტენზიები, თუმცა, აღნიშნულით არასდროს მიმიმართავს სასამართლოსთვის და არც ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისთვის, ვინაიდან ვფიქრობ, თანამდებობის პირს აქვს თმენის მაღალი ვალდებულება, თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე მოსამართლეთა შესაძლო კორუფციული გარიგებით შეძენილ ქონებას ეხებოდა, რაც კარგად ჩანდა რუსთავი 2-ის 2019 წლის 17 თებერვლის - რეპორტაჟის გასვლიდან მეორე დღის-ყველა კურიერში, სადაც აქტიურად და მიზანმიმართულად ვითარდებოდა აზრი იმის თაობაზე, რომ მოსამართლეების ქონება გაცილებით აღემატება მათ შემოსავალს, რომ ჩნდება კითხვები თუ „საიდან მოდის მოსამართლეების ქონება“, რომ მწვავედ დგას „კორუფციასთან დაკავშირებული და მოსამართლეების შემოსავლებთან დაკავშირებული შეკითხვები“ და ა.შ.(იხ. დანართი-14 rustavi2 კურიერი-17.02 18სთ), ეს კი ჩემთვის გახდა წყალგამყოფი, რითიც შეილახა ჩემი ცხოვრების ძირითადი პრინციპი: იცხოვრო კეთილსინდისიერად კორუფციის გარეშე.

სწორედ ზემოთ აღნიშნული გარემოებები მაიძულებს წამოვიწყო სამართლებრივი დავა. თუმცა, ამ შემთხვევაშიც არ მაქვს არანაირი სურვილი ჩემი პერსონალური პატივის და ღირსების დასაცავად სულ მცირე უხერხულობა შევუქმნა სასამართლო სისტემას, პერსონალურად დავის განმხილველ მოსამართლეს ან ჟურნალისტებს გავუჩინო თუნდაც მცირედი განცდა, რომ სასამართლო ჩემი სტატუსიდან გამომდინარე ჩემს სასარგებლოდ იქნება მიკერძოებული და გათვალისწინებული იქნება მხოლოდ ჩემი ინტერესები. სწორედ ამ მოტივაციით მოვმართავ საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას. რა თქმა უნდა, არ გამოვრიცხავ ეჭვს, რომ შესაძლოა ამ შემთხვევაში, პირიქით, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს წევრების მიერ გამოხატული იქნას სუბიექტური მიკერძოებულობა ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ჟურნალისტების სასარგებლოდ, თუმცა, ვიტოვებ იმედს,

რომ ქარტიის წევრები სწორად შეაფასებენ საქმის გარემოებებს, წარდგენილ მტკიცებულებებს, მოდავე მხარის მიერ მათდამი გამოხატულ ნდობას და მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომელიც გახდება სამაგალითო სტანდარტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ წინადადებით, განიხილოთ წარმოდგენილი განცხადება თანდართული დოკუმენტაციით და მიიღოთ გადაწყვეტილება, რითიც აღიარებული იქნება ჟურნალისტების: ნოდარ მელაძის და ქეთი ნადიბაიძის მხრიდან ქარტიის ხსენებული პრინციპების დარღვევა.

პატივისცემით,

რუსთავის საქალაქო

სასამართლოს თავმჯდომარე მამია ფხაკაძე